საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს ბატონ **შალვა პაპუაშვილს**

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
([redacted] მცხ.: [redacted].
[redacted] ტელ.: [redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო შალვა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას **„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“** საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ **საკანონმდებლო წინადადება** - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სავალდებულოდ გამოყენების სათანადო/ დამატებითი გარემოებების განსაზღვრის შესახებ.
- ✓ საქართველოს მთავრობის 30/11/2017 2503 **განკარგულება**
- ✓ საქართველოს მთავრობის 11/07/2018 1388 **განკარგულება**

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-16837/22
"12" 12 2022 წელს 12

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სავალდებულოდ გამოყენების სათანადო/ დამატებითი გარემოებების განსაზღვრის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** 2014 წლის ივნისში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან ჰარმონიზების შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2017 წლის 21 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ", რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის დეფინიციებს, სახეებსა და მათი გამოყენების წესებს. ხსენებული კანონის მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად:

  - ადმინისტრაციული ორგანო[1] **ვალდებულია** ელექტრონულ დოკუმენტზე შეასრულოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასვას კვალიფიციური ელექტრონული შტამპი[2].

  - **საკმარისია** ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ელექტრონულ დოკუმენტზე <u>კვალიფიციური</u> ელექტრონული შტამპის დასმა.

  - <u>კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება[3]</u> **სავალდებულო არ არის** ადმინისტრაციული ორგანოს

---

[1] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლით ადმინისტრაციული ორგანო განმარტებულია, როგორც ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

2 კვალიფიციური ელექტრონული შტამპი – განვითარებული ელექტრონული შტამპი, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების გამოყენებით, კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის საფუძველზეა შესრულებული.

3 კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა – განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალების გამოყენებით, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის საფუძველზეა შესრულებული.

სტრუქტურულ ერთეულებსა/ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებს შორის ან/და მათ ფარგლებში ურთიერთობისას.

ზემოხსენებული ჩანაწერით, შესაძლოა ერთის მხრივ აღქმულ იქნეს, რომ კვალიფიციური ელექტრონული შტამპი იძენს უპირატეს მნიშვნელობას ელექტრონული დოკუმენტების დადასტურების მხრივ, თუმცა, პრაქტიკაში, კვალიფიციური ელექტრონული შტამპი და ხელმოწერა, არ გამოიყენება ადმინისტრაციული ორგანოს შიდა მიმოწერისას. მაშინ, როდესაც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა უტყუარად ადასტურებს ხელმომწერის ვინაობას და დაცულია ხელმოწერილი დოკუმენტი გაყალბებისგან, იგი შესაძლოა შედგენილ იქნეს სათანადო დაცულობის არმქონე, ცვლილება შეტანილ შიდა მიმოწერის დოკუმენტზე დაყრდნობით. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა მნიშვნელობა დაკარგოს უსაფრთხოების



მკაცრი სტანდარტების დაცვით ელეტრონულ დოკუმენტის გაცემამაც. აუცილებელია, რომ ელექტრონული მომსახურების მიმღებ პირს შეექმნას სათანადო განცდა იმისა, რომ მის მიერ მიღებული არა მხოლოდ ინფორმაცია, არამედ მასალა უტყურ ფაქტებსა და გარემოებებს (მათ შორის, რამდენიმე წლის წინ გაცემული დოკუმენტის შემთხვევაში) ეფუძნება/ წარმოადგენს[4]. ალბათ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ჩათვლილი, რომ შესაბამისი გარანტიები იქმნება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმების სათანადოდ შესასრულებლად.

☞ **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მქონე დოკუმენტის სათანადო დაცულობის არმქონე, ცვლილება შეტანილ დოკუმენტზე დაყრდნობით შედგენის და/ან ელექტრონული დოკუმენტისადმი ნდობის შემცირების რისკი.

---

[4] ადეკვატურ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონმდებლობისა და რეგულაციების ერთ-ერთ მთავარ საკითხად განისაზღვრება, მსოფლიოს მასშტაბით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული დოკუმენტი და მისი მატერიალური დოკუმენტი თანაბარ იურიდიულ ძალას იძენს მაშინ, როცა დამოწმებული ან/და დადასტურებულია უფლებამოსილი პირის მიერ. ამავე კანონმა ელექტრონული ხელმოწერა განმარტა, როგორც „ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება". ელექტრონულ ხელმოწერასთან ერთად, კანონი განსაზღვრავს ელექტრონული შტამპის ცნებას და მიიჩნევს, რომ იგი არის „ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასადასტურებლად გამოიყენება". საინტერესოა ისიც, რომ კანონმდებელი ერთმანეთისაგან განასხვავებს როგორც „ელექტრონულ ხელმოწერას" და „კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას", ისე „ელექტრონულ შტამპს" და „კვალიფიციურ ელექტრონულ შტამპს". კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენება მხოლოდ სპეციალური კომპიუტერული პროგრამის, წამკითხველისა და ელექტრონული კოდებით არის შესაძლებელი. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა არის სანდო, მარტივი პროცედურა, რომელიც ძალიან მცირე დროს მოითხოვს. გაყალბებისგან მეტადაა დაცული, რადგან ხელმოწერილ დოკუმენტში რაიმე სახის ცვლილების აღმოჩენა ძალიან მარტივია. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე თანდართულ განამრტებით ბარათში[5] არაა ნახსენები ის მიზეზი, რის გამოც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა ან/და შტამპის გამოუყენლობა დასაშვები ხდება უწყების შიდა მიმოწერისას[6]. მოცემულ

	SES (Simple Electronic Signatures)	AdES (Advanced Electronic Signatures)	QES (Qualified Electronic Signatures)
User Identity	Not Mandatory	Checked but not guaranteed	Checked with 100% guarantee
Document Integrity	Not Assured	Assured	Fully Assured
Hardware	No specific hardware required	Secure signature creation device (SSCD) is required	Qualified signature creation device (QSCD) is required
Signature Authentication	Not Assured	Assured with sole control of user's Unique ID and multi-factor authentication (optional).	Assured with sole control of user's Unique ID and multi-factor authentication (Mandatory).
Example	Manual, Biometric, Banking Card, iDIN, SMS or Mail (OTP)	Manual, Biometric, Banking Card, iDIN, SMS or Mail (OTP)	Trans Sped Verification

5 იხ. ბმული: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/137829
კანონპროექტის ძირითადი არსის თანახმად, შემოთავაზებული კანონპროექტი ასევე მკაფიოდ აწესრიგებს იურიდიული პირების სახელით კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენების წესს, რაც ერთგვარ ბიძგს მისცემს ელექტრონული ხელმოწერის განვითარებას და ელექტრონული დოკუმენტის გავრცელებას. მაგალითად, შესაძლებელი იქნება ადმინისტრაციული ფუნქციების განმახორციელებელი ორგანოების მიერ ოფიციალური დოკუმენტები გაიცეს ელექტრონული ფორმით ისე, რომ არ გახდეს საჭირო ამ დოკუმენტების ელექტრონული ვერსიების გამოქვეყნება მაღალი ხელმისაწვდომობის მქონე ვებპორტალებზე, განსხვავებით დღეს არსებული მდგომარეობისაგან.

6 „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება მათ შორის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული

ვითარებაში შესაძლოა ვივარაუდოთ ადმინისტრაციული ორგანოს სათანადო ტექნიკური აღჭურვის (შესაბამისად დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიების) პრობლემა[7]. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, იმ პირებს, რომელთაც უწყების გარეთ გასაგზავნ ოფიციალური კორესპონდეციის დროს არ უდგათ ხსენებული ტექნიკური ხასიათის გამოწვევა, ალბათ არაგონივრული უნდა იყოს იმავე პირობებით სტრუქტურულ ერთეულებსა/ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებს შორის ან/და მათ ფარგლებში მიმოწერისას (მაგალითად - თუგინდ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ უფლებამოსილების განხორციელებისას[8]) უსარგებლობა. არსებული შესაძლებლობების ფარგლებში გამოწვევაზე შემხვედრი ნაბიჯების გადადგმის მაგალითს შეიძლება წარმოაჩენდეს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლის შესაბამისად, სამართლებრივი აქტები, რომლებიც შესაძლოა მხოლოდ შიდა მოხმარების დოკუმენტებს წარმოადგენდნენ, სავალდებულოა, რომ აკმაყოფილებდნენ მოცემული საკანონმდებლო წინადადებით განხილული კანონით დადგენილ მოთხოვნებს:

- 2017 წლის 28 ივნისს შეტანილი ცვლილებება, რომლის შესაბამისად, მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს[9]

ვალდებულებებისგან გათავისუფლების შემთხვევები. **საქართველოს მთავრობის 11/07/2018 N1388 განკარგულება,** ითვალისწინებდა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საკითხებს თუმცა, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მიუხედავად ვალდებულების გადავადებისათვის განსაზღვრული თარიღიდან მნიშვნელოვანი პერიოდის გასვლისა, რიგი საკითხები დღემდე შეუსრულებელია.

7 საქართველოს მთავრობის 28/06/2018 343 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტი ადგენს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის მიერ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის პირობებს და ამავე კანონის შესაბამისად განსაზღვრავს დამატებით პირობებს

[8] საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი – საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები

[9] განმარტებით ბარათში მოცემულ კანონის პროექტის ძირითადი არსის ნაწილის შესაბამისად, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან შესაბამისობის მიზნით, ნაცვლად აღნიშნული კოდექსის ნორმისა (51-ე მუხლის მე-3 ნაწილის მეორე წინადადება), რომლის მიხედვით, „წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება არ აკმაყოფილებდეს ამ კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს“ (რაც იმას გულისხმობს, რომ მართვის ერთიანი

- აქვე, საგულისხმოა 2021 წლის 30 მარტს შეტანილი ცვლილებება, რომლის თანახმად, **ელექტრონული** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი **აქტი** განიმარტება, როგორც მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით, ელექტრონული ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აკმაყოფილებს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს;

ზემოხსენებულის შესაბამისად, ელექტრონული დოკუმენტების და დაცულობის დამატებითი მექანიზმის შესაქმნელად, მიზანშეწონილია, რომ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი დარედაქტირდეს არსებული გამოწვევებისა და ტექნიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასე მაგალითად:

- „კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება სავალდებულო არ არის ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურულ ერთეულებსა/ ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებს შორის ან/და მათ ფარგლებში ურთიერთობისას, თუ დოკუმენტზე ხელმომწერი უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვერ აკმაყოფილებს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისათვის საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილ სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებსა და პირობებს. ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ ელექტრონულ დოკუმენტსა და ელექტრონულ ხელმოწერას აქვს, შესაბამისად, მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა".

- **კანონპროექტის მიზანი**: კანონის პროექტის მიზანია კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მქონე დოკუმენტის გაცემის ზრდა და სტრუქტურულ ერთეულებსა/ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებს შორის ან/და მათ ფარგლებში წარმოებულ საქმისწარმოებისადმი ნდობის განმტკიცება.

ავტომატური საშუალებების გამოყენებით გამოცემულ დოკუმენტს შესაძლოა არ ჰქონდეს უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა (მათ შორის, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა)), კანონპროექტით დგინდება ზოგადი დანაწესი, რომლის თანახმად, წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

- **კანონის პროექტის ძირითადი არსი:** კანონის პროექტის თანახმად, კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი დარედაქტირდება, რომლის შესაბამისად უფლებამოსილი თანამდებობის პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისათვის საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილ სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებსა და პირობებს ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურულ ერთეულებსა/ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებს შორის ან/და მათ ფარგლებში ურთიერთობისასაც ვალდებულნი იქნებიან ელექტრონული დოკუმენტის შესრულებისას გამოიყენონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასვან კვალიფიციური ელექტრონული შტამპი.

- **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**

საქართველოს მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძე**, პირადი ნომერი [redacted]
მცხ.: [redacted]; საფოსტო ინდექსი ([redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]; მობ.: 5[redacted]

11/12/2022



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1388 2018 წლის 11 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე დროებითი გამონაკლისის დაწესების თაობაზე

1. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის ვალდებულებისგან 2018 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლდნენ:

ა) შესაბამისი სუბიექტები იმ საკონსულო ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებული განცხადებების/განაცხადებისა და ოფიციალური დოკუმენტების მომზადებისას, რომლებზეც სავალდებულოა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან/და

კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა;

ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო „დოკუმენტის ლეგალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აგვისტოს №404 დადგენილებით დამტკიცებული წესის საფუძველზე დოკუმენტის ლეგალიზაციის განხორციელებისას.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ადმინისტრაციული ორგანოები სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პერიოდულად წარუდგენენ ინფორმაციას „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

3. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ვადა ამავე განკარგულებით განსაზღვრულ სუბიექტებს არ უზღუდავს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უფრო ადრე დაწყების შესაძლებლობას.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2503 2017 წლის 30 ნოემბერი ქ. თბილისი

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა აღსრულების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა აღსრულების თანდართული სამოქმედო გეგმა (შემდგომში – სამოქმედო გეგმა).

2. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა აღსრულების მიზნით, დაევალოთ ინფორმაციული სისტემების მიმწოდებელ უწყებებს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დანერგვისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად სამოქმედო გეგმაში მითითებული ვალდებულებების ამავე გეგმით განსაზღვრულ ვადებში შესრულება.

3. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა (გარდა მუნიციპალიტეტის ორგანოებისა) და სხვა სუბიექტებმა, რომლებისთვისაც სავალდებულოა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენება, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დანერგვისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად განახორციელონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური და ფინანსური ღონისძიებები, ხოლო მუნიციპალიტეტის ორგანოებს ეთხოვოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება.

4. ადმინისტრაციული ორგანო და სხვა სუბიექტი, რომელიც „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იყენებს ინფორმაციულ სისტემას და არ არის მოხსენიებული სამოქმედო გეგმაში, არ თავისუფლდება ინფორმაციულ სისტემაში 2018 წლის 1 ივლისიდან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენების ვალდებულებისაგან.

5. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა აღსრულების მიზნით, სამოქმედო გეგმაში მითითებულმა ინფორმაციული სისტემების მიმწოდებელმა უწყებებმა, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დანერგვისა და გამოყენების მიზნით, უზრუნველყონ ინფორმაციული სისტემების მომხმარებელთა სწავლება.

6. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების კოორდინაცია უზრუნველყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – მონაცემთა გაცვლის სააგენტომ.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2018 წლის აპრილსა და ივლისში საქართველოს მთავრობას წარუდგინოს ანგარიში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობის/დასრულების შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2017 წლის 30 ნოემბრის
№ 2503 განკარგულებით

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა აღსრულების სამოქმედო გეგმა

№	პასუხისმგებელი უწყება	ინფორმაციული სისტემა	ვალდებულება	განხორციელების ვადა
1	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო	ინფორმაციის მიმოცვლის ელექტრონული სისტემა (eFlow)	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2018 წლის 31 მარტი
2	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (დეს)	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2017 წლის 31 დეკემბერი
3	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	უძრავი ქონების რეესტრი	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2017 წლის 30 ნოემბერი

4	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	სამეწარმეო რეესტრი	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2017 წლის 31 დეკემბერი
5	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრი	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2017 წლის 31 დეკემბერი
6	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრი	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2017 წლის 31 დეკემბერი
7	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	მუნიციპალიტეტების რეესტრი	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2017 წლის 31 დეკემბერი
8	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	ტექნიკური აღრიცხვის არქივი	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2017 წლის 31 დეკემბერი

9	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	გირავნობის/ლიზინგის უფლებათა რეესტრი	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2017 წლის 31 დეკემბერი
10	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეესტრი	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2017 წლის 31 დეკემბერი
11	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეესტრი (ყადაღა)	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2017 წლის 31 დეკემბერი
12	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	სამისამართო რეესტრი	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2017 წლის 31 დეკემბერი
13	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო- ანალიტიკური სამსახური	საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (eDocument)	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2018 წლის 31 მაისი

14	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მონაცემთა გაცვლის სააგენტო	მოქალაქის პორტალი (MY.GOV.GE)	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2017 წლის 31 დეკემბერი
15	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	ნორმატიული აქტების ელექტრონული სისტემა (publish.matsne.gov.ge)	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2018 წლის 31 მაისი
16	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	მოსახლეობის რეგისტრაციის მართვის სისტემა	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2018 წლის 30 ივნისი
17	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მართვის სისტემა	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2018 წლის 30 ივნისი
18	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	აპოსტილისა და ლეგალიზაციის მართვის სისტემა	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2018 წლის 30 ივნისი

19	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	მოქალაქეობისა და მიგრაციის მართვის სისტემა	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2018 წლის 30 ივნისი
20	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	საქმისწარმოების სისტემა	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2018 წლის 30 ივნისი
21	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	დისტანციური მომსახურების მართვის სისტემა	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2018 წლის 30 ივნისი
22	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2018 წლის 30 ივნისი
23	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	ორგანიზაციების მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემების კატალოგების ინსპექტორისათვის წარდგენის სისტემა (Catalog.pdp.ge)	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2018 წლის 31 მარტი

24	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	ინტელექტუალური საკუთრების ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა (IPEFS)	ელექტრონულ სისტემაში კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მოდულის ინტეგრაცია	2018 წლის 31 მაისი

საქართველო

36902-01-2-202212011903

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/36902
01/12/2022

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძეს**

(ელ.ფოსტა: [redacted])

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2022 წლის 18 ნოემბრის განცხადების პასუხად, გიგზავნით განცხადებით მოთხოვნილ ინფორმაციას თქვენს მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

/დანართი: - 325 (სამასოცდახუთი) გვერდი/

პატივისცემით,
თეა ლეკვეიშვილი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონული სისტემის სახელმძღვანელო

ICMPD
International Centre for
Migration Policy Development

ENIGMMA
Putting the pieces together
to respond effectively to migration challenges

განმცხადებლის ასევე თავად მომხმარებლის ხელმოწერა და ასევე ნათლად გამოჩნდება თუ რომელი დოკუმენტის გადაცემა განხორციელდა კონკრეტულ შემთხვევაში.

სურათზე წარმოდგენილი დოკუმენტი არის სწორედ გადაცემის დამადასტურებელი საბუთი, რომელზეც ასახულია ორი ხელმოწერა ერთი განმცხადებლის და მეორე მომხმარებლის და ასევე ჩანს რომ არის ვიზის გაცემის საქმისწარმოება და ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდა შეჩერების შესახებ შეტყობინების განმცხადებლისთვის გადაცემა. იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხერხდა განმცხადებლის ბიომეტრული ხელმოწერის აღება მაშინ უკვე გენერირებულ დოკუმენტს უნდა მოაწეროს განმცხადებელმა ხელი და მომხმარებლის მიერ უნდა მოხდეს შემდგომ ამ დოკუმენტის სკანირება და „დოკუმენტები" ტაბზე ხელით ატვირთვა.

03/00000717/2017-08

შეტყობინება გაწეული მომსახურების (გაცემული დოკუმენტის გადაცემის) თაობაზე/
Notification about the requested service (Delivery of the issued document)

განაცხადის ნომერი/Reference number:	83907
განაცხადის მიღების თარიღი/ Receipt date:	3/7/2017
განაცხადით მოთხოვნილი საკონსულო მომსახურება/ Requested consular service:	ვიზა/Visa
გადაცემის ფორმა/Form of delivery:	პირადი გამოცხადება/Personal Visit
გაცემული დოკუმენტის დასახელება/IssuedDocument:	შეჩერების შეტყობინება/Suspension Report

დოკუმენტი მივიღე/I received a document:

მოქალაქე/Citizen

სახელი/First name:	[redacted]
გვარი/Last name:	[redacted]
დაბადების თარიღი/ DateOfBirth.	21/07/1993

4/7/2017

ხაკესტა საკონსულო დაწესებულება/Test Consular Post

საკონსულო ოფიცერი/Consular Officer

დოკუმენტის გადაცემის თარიღი/ DateOfDeliveryOfTheDocument:	4/7/2017

გთხოვთ, გაითვალისწინოთ რომ რომ ძალზედ მნიშვნელოვანია სწორად მოხდეს დასრულებულ საქმეებზე საბოლოო შედეგის განმცხადებლისთვის გადაცემა. უპირველეს ყოვლისა გადაცემაზე დამოკიდებულია კონკრეტული სამართლებრივი შედეგი, მაგალითად საქართველოს ვიზის საქმისწარმოების დროს გაცემულ იქნა შესაბამისი ვიზა, იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი არ განახორციელებს სწორად გაცემული ვიზის გადაცემას:

1) განცხადება ვიზის მოდულში აღქმული იქნება როგორც დაუსრულებელი ვინაიდან სიაზე არ იქნება აღნიშვნა რომ საბოლოოდ განმცხადებელს გადაეცა პერსონალიზებული საქართველოს ვიზა.

2) დაბეჭდილ ბლანკს პროგრამულად ექნება სტატუსი დაბეჭდილი/გაუცემელი, რაც ნიშნავს იმას რომ ეს ბლანკი სამართლებრივად ექვემდებარება უტილიზაციას და შესაბამისი ვადის დადგომის დროს უნდა მოხდეს მისი ჩამოწერა და სამინისტროში გადაგზავნა.

ხელმოწერა. აქვე იხილავთ დასაგენერირებელი დოკუმენტის შაბლონს, სადაც არნიშნული იქნება ის ადგილი სადაც განტავსდება თქვენი შენიშვნა.



ფანჯარაზე არსებული „დადასტურება“ ღილაკის დაფიქსირების შემდეგ გაიხსნება მომხმარებლის მიერ დაგენერირებული გამოსაყენებლად უვარგისი მკაცრი აღრიცხვის ფორმების ჩამოწერის აქტი.

გაითვალისწინეთ, რომ აქტის საბოლოოდ გაფორმების მიზნით შესაძლოა ზოგიერთ საკონსულო სამსახურებში არსებული პროცედურების შესაბამისად მოითხოვებოდეს დამატებით სხვა თანამდებობის პირის ხელმოწერაც.



გარდა პერონალური ინფორმაციისა სხვადასხვა საფეხურების ფორმებზე წარმოდგენილი ზოგიერთი ველი იდენტურია, რაც ნიშნავს იმას რომ ყველა საფეხურზე ხსენებული ველები უნდა შეივსოს იმ მოცემულობით, რაც ფიქსირდება კონკრეტულ საფეხურზე.



07/000001218/2017-01

ხარისხურებრივი ბარათი

ვის:	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტს
ვისგან:	საელჩო საკონსულო დაწესებულება საკონსულო თანამდებობის პირის საკონსულო ოფიცერი
თარიღი:	24.05.2017
საკითხი:	მოქალაქის დაკავების შესახებ
წოდება	საელჩო საკონსულო დაწესებულება საკონსულო თანამდებობის პირის საკონსულო ოფიცერი

პატივცემული ბატონო/ქალბატონო:

დანართის სახით გიგზავნით ინფორმაციას დაკავებული პირის შესახებ:

სახელი	პავლიაშვილი
გვარი	პაველ
სქესი	მამრობითი
დაბადების თარიღი	
დაბადების ადგილი	
მოქალაქეობა	საქართველო
პირადი ნომერი	
საქმის ნომერი	7345

დანართი:

ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ (დანართი N2)

პატივისცემით:

გთხოვთ, საჭიროების შემთხვევაში, სამსახურებრივი ბარათით მოწოდებული ინფორმაცია მიაწოდოთ დაინტერესებულ პირებს.

საელჩო საკონსულო დაწესებულება
საკონსულო ოფიცერი

დანართი N2

ინფორმაცია გამოძიების შესახებ

სახელი	პავლიაშვილი	
გვარი	პაველ	
დაბადების თარიღი		
პირადი ნომერი		
იდენტურობა დადგენილია	არა	
ფოტოიდენტიფიკაცია დადგენილია	არა	
წაყენებული ბრალდება და საქმის რეკვიზიტები		
წარმოებული საქმის კატეგორია		
გამოყენებული აღკვეთი ღონისძიება		
იძებნება თუ არა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ	არა	
დაკავება მოხდა ექსტრადიციის ფარგლებში	არა	

ველი

ყოველი კონკრეტულ საფეხურზე გადასვლის და შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენის დროს უნდა შეინახოთ ფორმა, რაც უზრუნველყოფს ახალი საფეხურის გახსნას. ყველი საფეხურის შესახებ უნდა ეცნობოს საკონსულო დეპარტამენტს. ამისათვის მომხმარებელმა უნდა გამოიყენოს ღილაკი „წერილი დეპ-ს“.



შედეგად დაგენერირდება შესაბამისი წერილი, რომელსაც დანართად დაერთვება შესაბამის საფეხურზე მომხმარებლის მიერ ასახული ინფორმაცია. წერილი ავტომატურად აიტვირტება ტაბზე „დოკუმენტები“. აღნიშნული წერილის გენერირების შესახებ ცნობილი გახდება მხოლოდ მას შემდეგ რაც მომხმარებელი გამოიყენებს ტაბს „კომუნიკაცია“ და შესაბამის შეტყობინებას გაუგზავნის საკონსულო დეპარტამენტს.